საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1385

2023 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

„2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №1629 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №1629 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის“:

ა) სამოქმედო გეგმის (დანართი №1):

ა.ა) ამოცანა 8.1-ის („მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა (საძოვრების გარდა)“) ამოცანის შედეგის 8.1.2 ინდიკატორში („ნიადაგის ეროზიის შემცირების პროცენტული მაჩვენებელი“) საბაზისო, შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამოცანის შედეგის ინდიკატორი 8.1.2:	ნიადაგის ეროზიის შემცირების პროცენტული მაჩვენებელი		**საბაზისო**	**სამიზნე**		
				შუალედური	**შუალედური**	**საბოლოო**
		წელი	2021	2023	2025	2026
		მაჩვენებელი	2%	3%	4%	5%.“;

ა.ბ) მიზანი 16-ის („გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა“) გავლენის 16.1 ინდიკატორში („ საზოგადოების გარემოსდაცვითი საკითხებისადმი განათლებისა და ცნობიერების დონე“) საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გავლენის ინდიკატორი 16.1:	საზოგადოების გარემოსდაცვითი საკითხებისადმი განათლებისა და ცნობიერების დონე		**საბაზისო**	**სამიზნე**
		წელი	2022	2026
		მაჩვენებელი	34%	38%.“;

ბ) „ბიუჯეტირების ინსტრუმენტში“ (დანართი №2) 12.3.1 აქტივობის („ტყის გაშენებისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება დეგრადირებულ ფართობზე“) ინდიკატორი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტყის გაშენებისა და აღდგენის ღონისძიებები განხორციელებულია, სულ მცირე, 800 ჰა-ზე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**